სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის შესახებ

2013 წლის 14 მაისს დაარსდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, რომლის ძირითადი მიზნებია:

- საზოგადოების გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება
- საჯარო განხილვების ორგანიზება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა
- გარემოსდაცვით და აგრარულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ცენტრის საქმიანობა ეფუძნება "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის" შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციის (ორჰუსის კონვენციის) პრინციპებსა და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE)" განათლება მდგრადი განვითარებისთვის" სტრატეგიის ხედვებსა და მიმართულებებს.

ცენტრი ხელს უწყობს მდგრად განვითარებას გარემოს კომპონენტებთან დაკავშირებული განათლებისა და სრულყოფილ ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის გზით.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი „პროფესიულ განათლებაში განსაკუთრებული მიღწევისთვის ჯილდოს" (VET Excellence Award) მფლობელია! გამარჯვებული პროგრამა „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში" ევროკომისიის მიერ ორგანიზებული „ევროპის პროფესიული უნარების კვირეული 2022"-ის ფარგლებში, ხმის საჯარო მიცემის შედეგად გამოვლინდა.

გარემოს საინფორმაციო სამსახურის ძირითადი კომპეტენციები:

- გარემოსდაცვითი ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზის წარმოება შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო, სამეცნიერო და კერძო სექტორთან თანამშრომლობით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროში მიმდინარე და განხორციელებული პროექტების შესახებ საინფორმაციო ბაზის მოძიება და შექმნა;
- საჯარო ინფორმაციის გავრცელების, ხელმისაწვდომობის, ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობა;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროებთან დაკავშირებული უწყებების, საქართველოში აკრედიტებული საერთაშორისო ორგანიზაციების, სამეცნიერო და არასამთავრობო სექტორის და ექსპერტთა შესახებ მონაცემთა ბაზების შექმნა და ადმინისტრირება;

- იმ საჯარო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციის მომზადება და ადმინისტრირება, რომლებიც ქმნიან და ფლობენ სოფლის მეურნეობასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;
- კომპეტენციის ფარგლებში გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ კონსულტაციების გაწევის უზრუნველყოფა;
- კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობა;
- გარემოსდაცვითი და აგრარული ლიტერატურის შეგროვების, ბიბლიოთეკისა და ფოტო/ვიდეო/აუდიოფონდის შექმნის ხელშეწყობის უზრუნველყოფა;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებული ღონისძიებების მომზადების, ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა და მონაწილეობა მათ განხორციელებაში;
- ეკომარკირების სისტემებისა და ეკოსტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელების კოორდინირება ცნობიერების ამაღლების მიზნით;
- ერთიანი საინფორმაციო სისტემის განვითარების სტრატეგიის ფორმირების და კონკრეტული კომპონენტების განხორციელების უზრუნველყოფა;
- ანალიტიკური პროდუქტების მომზადების კოორდინირება.

განათლების პროექტების სამსახურის ძირითადი კომპეტენციები:

- სტრატეგიის შემუშავება პრინციპის – „გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის“ ხელშეწყობის მიზნით, სწავლების მიმართულებების განსაზღვრა, სასწავლო გეგმების, თემატიკისა და პროგრამების მომზადება;
- კომპეტენციის ფარგლებში მეთოდური მითითებებისა და სასწავლო ლიტერატურის შემუშავება;
- გარემოსდაცვითი და აგრარული სფეროების სემინარების ორგანიზება, ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მომზადება და ჩატარება;
- სემინარების, ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების, შესაბამისი სპეციალისტების მომზადების ხელშეწყობა, სამეცნიერო საკონსულტაციო მომსახურებების განხორციელება და ცენტრის სახელით მონაწილეობა ამ ღონისძიებებში/საქმიანობებში;
- სხვადასხვა საგანმანათლებლო და სასერტიფიკატო პროგრამებში გარემოსდაცვითი და აგრარული კომპონენტების ჩართვის ხელშეწყობა;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროში ახალი პროფესიული კურსების დანერგვის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი, პროფესიული და საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობა;
- კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში „მწვანე ეკონომიკისა“ და „მწვანე ბიზნესის“ ხელშემწყობი პროექტების კოორდინირება;

- მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი და აგრარული კომპონენტების შესახებ ცნობიერების ამაღლების კოორდინირება;
- გარემოსდაცვით სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სერტიფიცირების უზრუნველყოფა;
- საზოგადოების აგრარული და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფა, შესაბამისი სპეციალისტების მომზადება, გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და სწავლების ხელშეწყობა.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის სამსახურის ძირითადი კომპეტენციები:

- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობასა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და საჯარო განხილვების ჩატარებას;
- მონაწილეობს სტრატეგიული დოკუმენტის პროექტისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვაში;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვეყნებს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საქმიანობის შემდგომი ანალიზის შედეგებს/ დოკუმენტებს;
- საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციას ათავსებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე, აგრეთვე საქმიანობის განმახორციელებლის განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტებს ათავსებს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – უზრუნველყოფს მათი ნაბეჭდი ან ელექტრონული ვერსიების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას;
- მართავს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალს და ხელს უწყობს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ამ პორტალზე განთავსებას;
- უზრუნველყოფს საჯარო განხილვების ჩასატარებლად საჭირო ტექნიკურ მხარდაჭერასა და შესაბამისი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან კომუნიკაციას;
- ჩატარებული საჯარო განხილვების შესახებ ადგენს ოქმებს;
- ჩატარებული საჯარო განხილვების შესახებ აწარმოებს სტატისტიკურ მონაცემებს.

ადმინისტრაციული სამსახურის ძირითადი კომპეტენციები:

- ცენტრის საქმისწარმოების ორგანიზებისა და კონტროლის უზრუნველყოფა;
- ცენტრის კადრების აღრიცხვა;
- ცენტრის უფლებამოსილების ფარგლებში ცენტრის თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლების, მივლინებების, შვებულებების, დისციპლინური პასუხისმგებლობისა და წახალისებების შესახებ ბრძანებების პროექტების მომზადება;

- ცენტრის თანამშრომელთა პირადი საქმეების შედგენა;
- ცენტრის შინაგანაწესის შემუშავება და მისი შესრულების გაკონტროლება;
- ცენტრის ბიუჯეტისა და ხარჯთაღრიცხვის პროექტების შემუშავება;
- ცენტრის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის და საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების მართვა;
- ცენტრისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების უზრუნველყოფა;
- ცენტრის სამართლებრივი მომსახურებით უზრუნველყოფა და სასამართლო ორგანოებში ცენტრის წარმომადგენლობის განხორციელება.